ხელშეკრულება №

AGREEMENT №

ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ

On Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in Order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads

This Agreement (hereinafter the "**Agreement**") is made on December 7, 2007 by and between the following parties:		წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში "ხელშეკრულება") დადებულია 2007 წლის 7 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის:
TBILISI CITY GOVERNMENT, represented by the Vice-Mayor of Tbilisi City, Mr. Mamuka Akhvlediani who has the authority to act for the purposes hereof in compliance with the Resolution of Tbilisi City Government N. 23.21.754 adopted on November 9, 2007 (hereinafter "**LESSOR**")		ერთის მხრივ, ქ. თბილისის მთავრობა (შემდგომ – "მეიჯარე"), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის ვიცე-მერის ბატონ მამუკა ახვლედიანის სახით, რომელიც მოქმედებს ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2007 წლის 9 ნოემბრის №23.21.754 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში
AND		და
On the other hand **C T PARK LTD.**, a company established under the laws of Georgia, registered as of 26 November, 2007 with Tbilisi Tax Inspectorate under No. 204543770, on the following address: Sanapiro Str.2, Apt.12 , Tbilisi, 0105, Georgia represented by its Directors Mr. David Pila and Mr. Natan Shorer who together have the authority to act for the purposes hereof (hereinafter the "**LESSEE**")		მეორეს მხრივ, შპს „სი-ტი პარკ" (შემდგომში – "მოიჯარე"), კომპანია რეგისტრირებული ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2007 წლის 26 ნოემბერს, მისამართი: სანაპიროს ქუჩა №2, ბინა №12, თბილისი საქართველო, 0105, რეგისტრაციის ნომერი 204543770, წარმოდგენილი მისი დირექტორების ბატონ დავიდ პილას და ბატონ ნათან შორერის მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ერთობლივად იმოქმედონ ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე
Hereinafter individually referred to as the "Party" and together as the "**Parties**"		ცალ-ცალკე მოხსენიებული როგორც "მხარე", ხოლო ერთობლიობაში - "მხარეები"

WHEREAS:		ვინაიდან:
The Consortium of Amagon Ltd. and Shohar Parking Services Ltd. was announced on November 9, 2007, as the winner of the Lease Out of Exclusive Right to Manage Parking Field of the City in order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads Competition Program, and based on the Competition Program requirement, incorporated C T Park Ltd.;		შპს „ამაგონის“ და შპს „შოჰარ პარკინგ სერვისიზ“ კონსორციუმი 2007 წლის 9 ნოემბერს მეიჯარის მიერ ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ აუქციონში გამოცხადდა გამარჯვებულად და აუქციონის მოთხოვნის შესაბამისად დააფუძნა შპს „სი-ტი პარკი“.
Taking into consideration technical and financial proposal of the LESSEE		მოიჯარის ტექნიკური და ფინანსური შემოთავაზებების გათვალისწინებით
The Parties wish to enter into this Agreement which shall govern the relationship between LESSOR and LESSEE in connection with subject matter of the Agreement.		მხარეებს სურთ დადონ წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს ხელშეკრულების საგნით განსაზღვრულ ურთიერთობებს მეიჯარესა და მოიჯარეს შორის.
NOW THEREFORE, subject to the terms and conditions of this Agreement, the Parties hereby agree as follows:		მიღწეული შეთანხმებების გათვალისწინებით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:
2. THE SUBJECT OF THE AGREEMENT		**1. ხელშეკრულების საგანი**
2.1 LESSOR hereby undertakes the obligation, to Lease Out the Right to Manage Parking Field of the City in order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads to the LESSEE on an exclusive basis.		1.1 მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით პარკირების სფეროს ექსკლუზიური მართვის უფლებას.
2.2 LESSEE hereby undertakes the obligation to provide LESSOR with the Services (as defined herein) and execute all the duties and responsibilities defined in this Agreement.		1.2 მოიჯარე მეიჯარეს უზრუნველყოფს მომსახურებით (განმარტების შესაბამისად) და შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას.
2.3 LESSOR shall not, throughout the term of this Agreement, provide or lease the right to provide any of the services		1.3 მეიჯარე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში მესამე პირებს არ გადასცემს წინამდებარე

which are the subject matter hereof or any services competing with the Services to any other third parties.		ხელშეკრულების საგნით განსაზღვრულ უფლებებს.
2. **DEFINITION OF TERMS**		2. ტერმინთა განმარტებები
The terms set forth in this Agreement shall have the meanings ascribed thereto herein.		წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
2.1. **"Agreement Date"** shall mean 7 December, 2007.		2.1. "ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი" ნიშნავს 2007 წლის 7 დეკემბერს.
2.2. **"Parking Revenues"** shall mean Parking Fees and as Parking Penalties.		2.2. "პარკირების შემოსავალი" ნიშნავს პარკირების საფასურსა და პარკირების ჯარიმას.
2.3. **"Business Day"** with respect to carrying out of an obligation by a party shall mean a day which is a business day in Georgia and with respect to any other matter shall mean a day which is a business day in both Georgia and Israel.		2.3. "სამუშაო დღე", რომელიც უკავშირდება მხარის მიერ ვალდებულებების განხორციელებას, ნიშნავს საქართველოში დადგენილ სამუშაო დღეს, ხოლო სხვა საკითხებთან დაკავშირებით კი მოიცავს როგორც საქართველოში ისე ისრაელში დადგენილ სამუშაო დღეებს.
2.4. **"Equipment"** shall mean any technical means (installation, machinery etc.) which is owned by LESSEE and used by it in order to carry out right and obligations provided by this Agreement.		2.4. "მოწყობილობა" მოიცავს ნებისმიერ ტექნიკურ საშუალებას (მოწყობილობას, დანადგარს და ა.შ.), რომელიც ეკუთვნის მოიჯარეს და იყენებს მას საიჯარო ურთიერთობებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განსახორციელებლად.
2.5. **"Parking Fees"** shall mean revenues actually deposited on LESSEE's Designated Account in consideration for parking, net of any Value Added Tax payable with respect thereto according to relevant legislation, but excluding parking fees payable for parking in vehicle parking lots owned by or leased to LESSEE.		2.5. "პარკირების საფასური" ნიშნავს პარკირების შედეგად მოიჯარისათვის ფაქტობრივად გადახდილ, შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით დადგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე გადახდილ თანხას, თუმცა არ მოიცავს მოიჯარის მიერ საკუთრებაში არსებულ ან იჯარით აღებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა სადგომზე განთავსების საფასურს
2.6. **"Penalty Payments"** shall mean administrative fines imputed in compliance with Article 125.8 and		2.6. "ჯარიმა" ნიშნავს ადმინისტრაციულ სახდელს, რომლის დაკისრებაც ხდება საქართველოს ადმინისტრაციულ

	Article 125[2] of the Administrative Offences Code of Georgia (or any article which replaces these articles) and actually deposited in LESSOR's Account.		სამართალდარღვევათა კოდექსის 125 მუხლის მე-8 პუნქტის და 125[2] მუხლის მიხედვით (ან ნებისმიერი იმ მუხლის მიხედვით, რომელიც შეცვლის აღნიშნულ დებულებებს) და რომელიც ფაქტობრივად განთავსდება მეიჯარის ანგარიშზე.
2.7.	**"Joint Revenues"** means Parking Revenues and any other revenues payable in accordance with section 11.1.2 hereof.	2.7.	"საერთო შემოსავლები" მოიცავს პარკირების შემოსავლებს და იმ სხვა გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს 11.1.2. მუხლის მიხედვით.
2.8.	**"Term"** shall have the meaning ascribed thereto in section 3.	2.8.	"ვადა"-ს აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრა მე-3 მუხლით.
2.9.	**"Late Payment Charge by Agreement"** means a payment established by agreement which needs to be paid in respect of any financial obligation not timely paid.	2.9	"პირგასამტეხლო" ნიშნავს ხელშეკრულებით დაწესებულ თანხას რომლის გადახდა ხორციელდება ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში..
3.	**THE AGREEMENT'S ENTRY INTO FORCE AND ITS DURATION**	3.	ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
	This Agreement enters into force as of the Agreement Date and shall be in full force for 15 (fifteen) years (the "**Term**").		წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში ("ვადა").
4.	**THE SERVICES**	4.	მომსახურება
4.1.	**General**. Throughout the Term, LESSEE shall provide the services described in **Exhibit 4.1**, as such exhibit may be amended and supplemented from time to time by written amendments in accordance with section 20.2 below (collectively, the "**Services**"). Any services, activities or tasks that are not set forth in **Exhibit 4.1** are not included within the scope of the Services. LESSEE shall provide	4.1.	ზოგადი. ვადის განმავლობაში მოიჯარე უზრუნველყოფს 4.1 დანართში ჩამოთვლილი მომსახურების სახეების გაწევას (ერთიანად "მომსახურება"). აღნიშნული დანართი, 20.2 მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია პერიოდულად დაექვემდებაროს წერილობითი ფორმით წარმოდგენილ ცვლილებებს. ნებისმიერი მომსახურება, საქმიანობა ან დავალება, რომელიც არ არის გათვალისწინებული

	the Services in accordance with all of the terms of this Agreement.		**4.1** დანართით, არ წარმოადგენს მომსახურებას. მოიჯარე მომსახურებას გასწევს წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.
4.2.	**New Services.** LESSEE hereby grants LESSOR the right to request from LESSEE, services that are different from or in addition to the Services ("**New Services**"). Such New Services shall be provided by LESSEE upon, and subject to the execution of an appropriate agreement by LESSOR. It is hereby clarified that no action which does not conform to applicable Georgian law may be taken under this section 4.2.		4.2 **ახალი მომსახურება**. მოიჯარე მეიჯარეს აძლევს უფლებას, რათა ამ უკანასკნელმა მოიჯარეს მოსთხოვოს მომსახურებებისაგან ან დამატებითი მომსახურებისგან განსხვავებული მომსახურების გაწევა ("**ახალი მომსახურება**"). ამგვარ ახალ მომსახურებას მოიჯარე გასწევს მეიჯარესთან ხელშეკრულების გაფორმების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას არ შეიძლება განხორციელდეს წინამდებარე 4.2 მუხლის მიხედვით.
4.3.	**Changes in Law and Regulations**. Throughout the Term, LESSOR shall use its best efforts to notify LESSEE of changes in any statutory and regulatory requirements issued or initiated by the LESSOR or any other legislative authority and applicable to the Services, and the Parties shall jointly work to identify the impact of such changes on the Services. LESSEE shall promptly make any modifications to the Services as reasonably necessary as a result of such changes.		4.3 **ცვლილებები კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში**. ვადის განმავლობაში, მეიჯარე მაქსიმალურად ეცდება მოიჯარეს აცნობოს მისი ან ნებისმიერი სხვა შესაბამისი საკანონმდებლო ან ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს მიერ, მომსახურებასთან დაკავშირებულ, ნებისმიერ ინდივიდუალურ ადგილობრივ აქტში შესული ცვლილებების შესახებ. მხარეები ერთობლივად განსაზღვრავენ თუ რა ზემოქმედებას იწვევს აღნიშნული ცვლილებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების გაწევაზე. მოიჯარემ საკანონმდებლო ცვლილებებზე დაყრდნობით დაუყოვნებლივ უნდა შეიტანოს საჭირო შესწორებები მომსახურებაში
4.4	**Regulatory Licenses and Permits.**		4.4 ლიცენზიები და ნებართვები
4.4.1.	Throughout the Term, LESSOR shall		4.4.1 ვადის განმავლობაში, მეიჯარე ვალდებულია:
4.4.1.1.	be responsible for providing all regulatory licenses, authorizations		4.4.1.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი იყოს

and/or permits which LESSOR is authorized to provide in accordance with Georgian legislation, and which are required in connection with the performance of Services and/or LESSEE's obligations under this Agreement;		ყველა იმ მარეგულირებელი ლიცენზიის, ნებართვის ან/და თანხმობის გაცემაზე, რომლის გაცემაც მეიჯარის კომპეტენციაშია და რომელიც საჭიროა მომსახურების განსახორციელებლად ან/და სავალდებულოა წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით.
4.4.1.2. use its best efforts to assist LESSEE to obtain all other regulatory licenses, authorizations, and permits required in connection with the performance of Services, *provided that* the abovementioned undertaking is not in breach of Georgian legislation.		4.4.1.2. მაქსიმალურად დაეხმაროს მოიჯარეს მიიღოს ყველა სხვა მარეგულირებელი ლიცენზია, ნებართვა ან/და თანხმობა, რომელიც სავალდებულია მომსახურების განსახორციელებლად იმ პირობით რომ აღნიშნული არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.
4.4.2. In the event that, LESSEE shall fail to duly comply with any of its undertakings hereunder due to failure to obtain any license or permit required under applicable law, and *provided that* LESSEE has complied with all legal requirements for the submission of a request to the relevant authority, *then,* LESSEE shall not be considered in breach of any of its undertakings hereunder.		4.4.2. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე დროულად ვერ შეასრულებს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებას იმ მიზეზით, რომ ვერ მიიღო საჭირო ლიცენზია, ნებართვა ან/და თანხმობა და თუ მათ მისაღებად ამ უკანასკნელმა წარადგინა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაემორჩილა ყველა შესაბამის სამართლებრივ მოთხოვნას, მაშინ, მოიჯარე არ ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულების დამრღვევად.
4.5. **Third Party Services; Cooperation**. LESSOR shall assist LESSEE to ensure the cooperation of third parties as may be required for the provisions of the Services by the LESSEE as contemplated in this Agreement. Without derogating from the general nature of the foregoing provision, LESSOR shall use best effort to help LESSEE obtain the cooperation of the police authorities as set forth in **Exhibit 4.1**, *provided that* the abovementioned undertaking is not in breach of Georgian legislation.		4.5 მესამე მხარის მომსახურება, თანამშრომლობა. მეიჯარე ხელს შეუწყობს მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული მომსახურების გასაწევად საჭირო თანამშრომლობას მესამე მხარეებთან. მოცემული დებულების ზოგადი ხასიათისაგან გადახვევის გარეშე, მეიჯარე მაქსიმალურად ეცდება დაეხმაროს მოიჯარეს დაამყაროს თანამშრომლობა საპატრულო პოლიციასთან, როგორც ეს მითითებულია დანართში 4.1, იმ პირობით რომ აღნიშნული არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.

5.	**RESULTS OF CHANGES OF APPLICABLE LEGISLATION**		5. შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილების შედეგი
5.1.	In the event of a change of Georgian legislation which restricts, LESSEE's ability to carry out its undertakings hereunder or imposes, directly or indirectly, additional liabilities, on LESSEE in connection with the performance of its undertakings hereunder, or otherwise adversely affects LESSEE's revenues *then,*		5.1. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს კანონმდებლობა ისე შეიცვლება, რომ, შეზღუდავს მოიჯარის უნარს განახორციელოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ან აღნიშნული ვალდებულებების განხორციელებისას, დააკისრებს დამატებით პასუხისმგებლობას ან გამოიწვევს სხვაგვარ არასასურველ ზეგავლენას მოიჯარის შემოსავლებზე, მაშინ:
5.1.1.	LESSEE shall be entitled to a compensation for any reduction of revenues in an amount equal to the average monthly income from the relevant income (which has adversely changed) during the 12 month period immediately preceding the relevant change of legislation multiplied by the number of months left from the time that such change entered into effect and until the expiration of the Term.		5.1.1 შემოსავლის ნებისმიერი შემცირების გამო მოიჯარე უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი კომპენსაცია: საკანონმდებლო ცვლილებამდე არსებული უშუალო ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლის საშუალო თვიური მაჩვენებელი (რომელსაც ეხება არასასურველი ცვლილება) გამრავლებული იმ თვეების რაოდენობაზე, რაც დარჩენილი იყო ცვლილების ძალაში შესვლიდან "ვადის" გასვლამდე.
5.1.2.	LESSEE shall be entitled to a compensation for any additional expenses born by LESSEE in connection with the implementation of LESSEE's undertakings according to this Agreement and due to such change in legislation, including, without limitation, any work carried out in preparation of LESSEE's enforcement systems for such change. Such compensation shall be payable within 60 days from submission of a request by LESSEE to LESSOR indicating the amount of the compensation requested.		5.1.2. მოიჯარე უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია იმ დამატებითი ხარჯების გაწევის გამო, რომელიც უკავშირდება საკანონმდებლო ცვლილებიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და ხელშეკრულების საგანს, მათ შორის და არამარტო, მოიჯარის მიერ გაწეულ საქმიანობას, რომელიც საჭიროა აღნიშნულის განსახორციელებლად. კომპენსაცია უნდა გაიცეს მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის იმ მოთხოვნის მიცემიდან 60 დღეში, რომელშიც მითითებულია კომპენსაციის ოდენობა,
5.2.	It is further agreed that, in the event that a certain piece of legislation with respect to which LESSOR had to pay compensation according to Section 5.1.1 or 5.1.2 above is cancelled or changed such that it no longer		5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა, რომლის გამოც 5.1.1 ან 5.1.2 მუხლის მიხედვით მეიჯარეს ეკისრებოდა კომპენსაციის გადახდა გაუქმდება ან შეიცვლება იმგვარად, რომ აღარ

	adversely affects LESSEE's rights as existed upon signing of this Agreement, *then,* LESSOR shall have a right to cease payment of the respective compensation.		იქონიებს არასასურველ ზეგავლენას მოიჯარის იმ უფლებებზე, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის, მაშინ მეიჯარეს უფლება ექნება შეწყვიტოს შესაბამისი კომპენსაციის გადახდა.
5.3.	It is hereby clarified that this section 5 may not be interpreted as to entitled LESSEE to any compensation for any alleged loss of revenues due to the loss of an opportunity to alternatively investment the funds invested by LESSEE in the implementation of its undertakings hereunder.		5.3. მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ მე-5 მუხლი არ განიმარტება იმგვარად, თითქოს მოიჯარეს აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია შემოსავლების ნებისმიერი იმ სავარაუდო დანაკარგისათვის, რომელიც მიღებული იქნებოდა მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში ინვესტირებისას გამოყენებული თანხის ალტერნატიული ინვესტირების შემთხვევაში.
6.	**LESSEE'S RIGHTS AND OBLIGATIONS.**		6. მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები
6.1.	**LESSEE's Rights.** Provided that, the following rights are not in breach of any applicable law, LESSEE shall have the right to:		6.1. მოიჯარის უფლებები. იმის გათვალისწინებით, თუ წინამდებარე უფლებები არ არღვევენ შესაბამის კანონმდებლობას, მოიჯარეს უფლება აქვს
6.1.1.	Offer to LESSOR innovative ideas to be implemented concerning parking field (excluding the tasks which are taken as the obligatory by LESSEE with the Agreement hereby).		6.1.1. შესთავაზოს მეიჯარეს პარკირების სფეროში ინოვაციური იდეების განხორციელება (გამონაკლისია ის საკითხები, რომლებიც მოიჯარისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით სავალდებულო ხასიათს ატარებს).
6.1.2.	Initiate amendments to the Agreement concerning the environmental and/or legal changes.		6.1.2. სამართლებრივ აქტებთან ან შეცვლილ გარემოებებთან ამ ხელშეკრულების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოახდინოს ხელშეკრულებაში ცვლილებების ინიცირება.
6.1.3.	Use any infrastructures and/or any other means of communication erected and/or established by LESSEE for the provision of the Services hereunder for		6.1.3. მომსახურების გასაწევად ან სხვა კომერციული მიზნებისათვის (რომელსაც უშუალოდ თავად ირჩევს) გამოიყენოს თავად მოიჯარის მიერ დამონტაჟებული

	other commercial purposes (as may be elected by LESSEE at its sole discretion), *provided however*, that LESSEE shall bear the costs of any further modifications to such infrastructures (if any) that may be required for the adjustment of such infrastructures to said other purposes.		ან შექმნილი ნებისმიერი ინფრასტრუქტურა ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ამ შემთხვევაში მოიჯარე გაიღებს აღნიშნული ინფრასტრუქტურის მიზნების განსახორციელებლად საჭირო მოდიფიკაციის ხარჯებს (საჭიროების შემთხვევაში).
6.1.4.	Print various ads on the backside of the scratch card without any additional fee or consideration to LESSOR and Place advertisements on top of signposts, *provided that*, LESSOR shall be entitled to a fee determined by relevant legislation of Georgia .		6.1.4. დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე განათავსოს რეკლამა გადასაფზეკი ბარათის (სქრეჩ-ბარათის) უკანა მხარეს და მოიჯარისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული თანხის გადახდის შემთხვევაში, განათავსოს რეკლამა საგზაო ნიშნების თავზე.
6.1.5.	Assign its Right to Manage Parking Field of the City in order to Regulate Vehicle Parking Possibilities on Tbilisi Roads with respect to any parking places only subject to LESSOR's consent and provided that LESSEE remains obligated towards LESSOR for all its undertakings under this Agreement during the Term.		6.1.5. მხოლოდ მეიჯარის თანხმობის საფუძველზე გადასცეს ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლება მესამე პირს. თანხმობის მიღების შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, მოიჯარე რჩება პასუხისმგებლად მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მეიჯარის წინაშე.
6.2.	**LESSEE's Obligations.** Along other obligations provided in this Agreement and provided that, the following obligations are not in breach of any applicable law, LESSEE is obliged to:		6.2. მოიჯარის ვალდებულებები. გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული სხვა ვალდებულებებისა და იმ პირობით, რომ ქვემოთმოცემული დებულებები არ არღვევს შესაბამის კანონმდებლობას, მოიჯარე ვალდებულია:
6.2.1.	Provide payments not less than mentioned in **Exhibit 11.3** (Minimum Revenues) required to be made by LESSEE to LESSOR according to this Agreement, within the time constraints and payment conditions set out by this Agreement.		6.2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადაში მეიჯარეს გადაუხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხები, მაგრამ არნაკლებ **11.3 დანართში** მითითებული ოდენობით ("მინიმალური შემოსავლები").
6.2.2.	Perform precisely and timely commitments envisaged in this Agreement and all Exhibits thereto.		6.2.2. ჯეროვნად და დროულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული

		ვალდებულებები
6.2.3. Subject to the provisions of section 5 above, finance all the expenditures necessary for carrying out of the Services and Additional Services.		6.2.3. მე-5 მუხლის პირობების შესაბამისად დააფინანსოს მომსახურებისა და დამატებითი მომსახურების სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ყველა ხარჯი.
6.2.4. Ensure generation of revenues through compliance with LESSEE's undertakings according to this Agreement and according to Georgian law.		6.2.4 უზრუნველყოს შემოსავლის გენერირება მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2.5. Not to conduct the activities needed to be pre-approved by LESSOR according to **Exhibit 4.1**, before they are so authorized.		6.2.5. თანხმობის გარეშე არ განახორციელოს მოქმედება, რომელიც, **4.1 დანართის** მიხედვით წინასწარ საჭიროებს მეიჯარესთან შეთანხმებას.
6.2.6. To act in compliance with applicable Georgian law.		6.2.6. იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით.
6.2.7. Inform the Lessor in a written form on abolishment of any types of services and respective measures taken in connection therewith.		6.2.7. წერილობით აცნობოს მეიჯარეს მომსახურეობის ნებისმიერი სახის შეწყვეტის, მისი სპეციფიკისა და მიღებული ზომების შესახებ.
6.2.8. Subject to section 7.2.4, to implement any new regulations enacted by LESSOR and applicable to the Services.		6.2.8 7.2.4 მუხლის გათვალისწინებით განახორციელოს მეიჯარის მიერ შემოღებული ახალი წესები და მომსახურებები.
7. **LESSOR'S RIGHTS AND OBLIGATIONS**		7. მეიჯარის უფლებები და ვალდებულებები
7.1. **LESSOR's Rights:** Along other obligations provided in this Agreement and provided that, the following obligations are not in breach of any applicable law, LESSOR is obliged to		7.1. მეიჯარის უფლებები. იმის გათვალისწინებით, თუ წინამდებარე უფლებები არ არღვევენ შესაბამის კანონმდებლობას, მეიჯარეს უფლება აქვს
7.1.1. Terminate this Agreement subject to the provisions of section 13.3 below, in the event that LESSEE has failed to comply with its obligations according to this Agreement and has not remedied such breach within reasonable time		7.1.1. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება 13.3 დებულების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე არ განახორციელებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ

13.3

after receipt of notice from LESSOR.			ვალდებულებებს და არ გამოასწორებს დარღვევას მეიჯარისაგან შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.
7.1.2. Receive all reports related to the subject matter of the Agreement and to be provided according this Agreement and use LESSEE's technological system in order to produce various reports as LESSOR may wish.		7.1.2.	მიიღოს ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა ანგარიში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და გამოიყენოს მოიჯარის ტექნოლოგიური სისტემები რათა აწარმოოს სხვადასხვა ანგარიშები მეიჯარის სურვილის მიხედვით.
7.1.3. Exercise all powers granted in accordance with Georgian legislation in force.		7.1.3.	განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები
7.2. **LESSOR's Obligations.** Along with the obligations provided in the Agreement, LESSOR is obliged to:		7.2.	მეიჯარის ვალდებულებები. გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული სხვა ვალდებულებებისა, მეიჯარე ვალდებულია:
7.2.1. To support the LESSEE in the process of exploitation of the Leased Rights on the Parking Field in accordance with the Georgian Law in force.		7.2.1.	ხელი შეუწყოს მოიჯარეს იჯარით აღებული პარკირების სფეროს მართვის უფლების საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებაში.
7.2.2. To discuss, examine and approve (including through the Advisory Committee) the initiatives presented by the LESSEE if it is well-motivated and acceptable to LESSOR according to the Georgian Law in force, in a rational time-period.		7.2.2.	გონივრულ ვადაში განიხილოს, შეამოწმოს და დაამტკიცოს მოიჯარის (მათ შორის მრჩეველთა კომიტეტის მეშვეობით) მიერ წარმოდგენილი ინიციატივები, თუ ეს უკანასკნელი მყარად მოტივირებულია, მისაღებია მეიჯარისათვის და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.
7.2.3. To act in compliance with the Georgian law.		7.2.3.	იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2.4. Not to initiate or adopt such legal acts which may restrict LESSEE's ability to carry out its undertakings hereunder or may impose additional liabilities, on LESSEE in connection with the performance of its undertakings hereunder, unless LESSOR is obligated, according to Georgian law, to initiate or adopt such legal acts, in which case the provisions of the		7.2.4.	არ მოახდინოს ინიცირება ან მიიღოს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც შეზღუდავს მოიჯარის უნარს განახორციელოს მისი ვალდებულებები ან, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი იქნება მოიჯარეზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრება. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით,

.03 JV

following paragraph shall apply.		მეიჯარე ვალდებულია ინიცირება მოახდინოს ან გამოსცეს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელზეც გავრცელდება წინამდებარე დებულება
7.2.5. Provided that, the following is not in breach of any applicable law, use its best efforts to locate properties owned by the LESSOR and which are not subject to third party right and may be used for the operation of parking lots in accordance with the urban planning and which may be purchased or long term leased by LESSEE at a price to be discussed by LESSOR and LESSEE, in order for LESSEE to operate parking lots. The Parties shall sign a separate agreement with respect to the sale or lease of each such property, *provided that* the abovementioned undertaking is not in breach of Geogrian legislation.		7.2.5. იმ პირობით, რომ წინამდებარე არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ეცადოს გამოიყენოს მეიჯარის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც ამჟამად უფლებრივად თავისუფალია, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია პარკირების ადგილების მოსაწყობად. აღნიშნულ საკუთრებასთან მიმართებაში მხარეები შეთანხმდებიან კანონით დადგენილი წესით შეძენის ან გრძელვადიანი იჯარის შესახებ მხარეებს შორის ფასზე შეთანხმების საფუძველზე. ყოველ ასეთ ადგილთან დაკავშირებით მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებას შესყიდვის ან იჯარის შესახებ, იმ პირობით რომ აღნიშნული არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას.
7.2.6. To respond to any question or request of LESSEE addressed to the LESSOR in the time frame defined by applicable legislation, but in no event within more than the time frame provided under applicable law. Nonetheless, in the event that an answer relating to the implementation of any task to be carried out by LESSEE is given after more than three (3) Business Days then, the time period for the implementation of such task shall be prolonged, if needed, by the balance of calendar days from such third Business Day and the date of receipt of response by LESSEE.		7.2.6. უპასუხოს მეიჯარისადმი დასმულ ნებისმიერ შეკითხვას ან თხოვნას არაუგვიანეს კანონმდებლობით დადგენილი ვადისა. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ პასუხი, უკავშირდება მოიჯარის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელ ქმედებას და ეს უკანასკნელი არ იქნება მიღებული 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში, ვალდებულებისათვის განსაზღვრული ვადა გაიზრდება შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ვადა გადაიწევს იმდენი დღით, რამდენიც საჭირო იქნება მესამე დღიდან პასუხის მიღებამდე.
7.2.7. Provided that the abovementioned undertaking is not in breach of Geogrian legislation allow LESSEE, and LESSEE alone, to interface its software used for the provisions of the Services undertaken by the Agreement		7.2.7. იმ პირობით რომ აღნიშნული არ არღვევს საქართველოს კანონმდებლობას ნება დართოს მოიჯარეს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით

	with various databases owned by LESSOR for purposes connected with the implementation of LESSEE's rights and obligations under this Agreement, and to assist LESSEE to interface such software with various databases owned by other governmental entities such as– police authorities database, database of the national agency for property management, ministry for environmental protection and natural resources, etc. LESSEE has no right to transfer mentioned data bases to third parties or use it for any reason which is not related to the carrying out of LESSEE'S obligations according to this Agreement.		ისარგებლოს მეიჯარის კუთვნილი მონაცემთა ბაზებით და დაეხმაროს ისარგებლოს სხვა სახელმწიფო ორგანოების მონაცემთა ბაზებით, მათ შორის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, ქონების მართვის ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და სხვა. მოიჯარეს უფლება არა აქვს აღნიშნული მონაცემთა ბაზები გადასცეს მესამე პირს ან გამოიყენოს რაიმე სხვა მიზნით რომელიც არ არის დაკავშირებული მოიჯარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებასთან.
7.2.8.	To enable LESSEE to, at least, operate within the scope envisaged by the Business Plan. The relevant provisions of the Business Plan are attached hereto as **Exhibit 7.2.8**.		7.2.8. საშუალება მისცეს მოიჯარეს იმოქმედოს, მინიმუმ, ბიზნეს გეგმის მიხედვით. ბიზნეს გეგმის შესაბამისი დებულებები მოცემულია **დანართში 7.2.8**.
7.2.9.	Not to initiate any change or cancellation of any of the parking enforcement measures to be used according to this Agreement without LESSEE's consent.		7.2.9. საკუთარი ინიციატივის საფუძველზე არ შეცვალოს ან გააუქმოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული და პარკირებასთან დაკავშირებული იძულებითი ღონისძიება მოიჯარის თანხმობის გარეშე.
7.2.10.	Lessor shall take every action not prohibited by Georgian legislation in order to stop and not allow any unlawful collection of parking fees in the City of Tbilisi.		7.2.10 მეიჯარე გააკეთებს ყველაფერს, რისი უფლებაც აქვს და რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, რათა აღკვეთოს და აღარ დაუშვებს, თბილისში პარკირების საფასურის უკანონო შეგროვება.
8.	**PROTECTION OF LESSEE'S EMPLOYEES**		8. **მოიჯარის პერსონალის დაცვა**
8.1	The Parties shall cooperate in order to grant LESSEE's employees the same legal protection as is provided to LESSOR's emloyees under Georgian law.		8.1 მხარეები ითანამშრომლებენ, რომ მეიჯარის მოხელეებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვა გავრცელდეს მოიჯარის პერსონალზეც.

As long as such protection under the previous paragraph is not available, the parties shall act together in order to find a solution, whether under legislation or otherwise, in order to provide protection to LESSEE's employees.		8.2 თუ ზემოაღნიშნული დაცვის განხორციელება შეუძლებელია, მხარეები ითანამშრომლებენ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებისას ან სხვა საშუალებით მოაგვაროს ეს პრობლემა.
EXCLUSIVITY		**9. ექსკლუზიური ხასიათი**
In the event that LESSOR or any other central governmental or self-governing entity and/or other bodies incorporated according to Georgian state laws or local by-laws shall grant any rights to any third party or any other governmental entity with respect to the provision of any services similar to or competing with the Services, throughout the Term, *then*, LESSEE shall be entitled to compensation according to the formula set forth in section 12.2 below. Nothing in this section 9 shall be construed as to derogate from LESSOR's undertakings in section 1 above.		იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე ან ცენტრალური ან ადგილობრივი თვითმმართველი ან/და საქართველოს კანონმდებლობით შექმნილი სხვა ერთეული მესამე მხრეს ან სხვა სამთავრობო ორგანოს გადასცემს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების მსგავს ან კონკურენტულ უფლებას, მოიჯარეს უფლება ექნება მიიღოს 12.2 მუხლის მიხედვით განსაზღვრული კომპენსაცია. მე-9 მუხლში მითითებული დებულებები არ უნდა იქნას ისე გაგებული, თითქოს არღვევდეს მეიჯარის 1 მუხლით ნაკისრ ვალდებულებებს.
PARTIES REPRESENTATIONS		**10. მხარეთა წარმომადგენლობა**
LESSEE's Representations. LESSEE approves and guarantees that:		10.1. მოიჯარის წარმომადგენლობა. მოიჯარე ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ
10.1.1. As of the Agreement Date the undersigned persons are fully authorized to sign this Agreement.		10.1.1. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის ქვემოთ ხელისმომწერი პირები სრულად და შეუზღუდავად არიან უფლებამოსილნი მოაწერონ ხელი აღნიშნულ ხელშეკრულებას.
10.1.2. As of the Agreement Date, LESSEE is eligible and has possibility to implement taken obligations of this Agreement.		10.1.2. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის მოიჯარეს აქვს უფლება და შესაძლებლობა შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები
10.1.3. As of the Agreement Date, the shareholders of the LESSEE are only the legal persons listed below:		10.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის მოიჯარის წილების ერთადერთი მფლობელები არიან შემდეგი

N.	Founder/ Shareholder	Shares (%)
1	Amagon Ltd.	50
2	Shohar Parking Services Ltd.	50

10.1.4. Until the third anniversary of this Agreement, LESSEE's shareholders shall only be entitled to transfer shares in an amount which is less than 50% of LESSEE's shares. Any other transfer of shares shall require LESSOR's consent. Refusal of the consent shall only be based on reasonable grounds.

It is hereby agreed that transfer of shares by a shareholder to its shareholder (hereinderafter: an **"Affiliate"**) shall not require LESSOR's consent. For the purpose of establishing 50% holdings in connection with this Section 10.1.4, a shareholder and its Affiliates shall be considered as the same shareholder. It is further agreed that any restrictions on the transfer of shares according to this Agreement which are applicable to a shareholder of LESSEE, shall also apply to any Affiliate of such shareholder to whom shares have been transferred.

LESSOR hereby grants LESSEE its consent for the transfer of the current shareholders' shares to an Israeli company owned by LESSEE's current shareholders, *provided that,* the abovementioned restriction shall apply to the Israeli Company until such third anniversary of this Agreement.

After the third anniversary of the Agreement, shares may be freely

იურიდიული პირები

№	დამფუძნებელი/მეწილე	წილი (%)
1	შპს ამაგონი	50
2	შპს შოჰარ პარკინგ სერვისიზ	50

10.1.4. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედებიდან მესამე წლის ბოლომდე, მოიჯარის წილების მფლობელებს უფლება ექნებათ გადასცენ მოიჯარის წილის მხოლოდ 50%-ზე ნაკლები. წილების ნებისმიერი სხვა გადაცემა საჭიროებს მეიჯარის თანხმობას. წილების გადაცემაზე უარი უნდა დაეფუძნოს მხოლოდ საფუძვლიან მიზეზებს.

მხარეები აქვე თანხმდებიან, რომ: მეწილეების მიერ მათი მეწილეებისადმი ("აფილირებული პირი"), წილის გადაცემა არ საჭიროებს მეიჯარის თანხმობას. 10.1.4. მუხლის მიხედვით, ზემოთხსენებული წილების 50% მისაღწევად, მეწილე და მისი აფილირებული პირი ჩაითვლება ერთ მეწილედ; რომ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი შეზღუდვა წილების გადაცემის შესახებ, რომელიც ეხება მოიჯარის წილის მესაკუთრეს, ასევე გავრცელდება იმ აფილირებულ პირზე, რომელსაც გადაეცა წილები.

მეიჯარე აქვე ნებართვას აძლევს მოიჯარეს, რათა ამ უკანასკნელმა საკუთარი წილები გადასცეს მოიჯარის მეწილეების მიერ ისრაელში დაფუძნებულ კომპანიას, იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული შეზღუდვა გავრცელდება აღნიშნულ კომპანიაზეც წინამდებარე ხელშეკრულების მესამე წლის ბოლომდე.

ხელშეკრულების ხელმოწერის მესამე

transferred provided that LESSEE shall give LESSOR written notice of any such transfer.		წლის შემდეგ, წილები შესაძლებელია გასხვისდეს თავისუფლად, იმ პირობით, რომ მოიჯარე მეიჯარეს წინასწარ შეატყობინებს ამ უკანასკნელის შესახებ.
Except the case provided above, LESSOR is entitled to get notice by the LESSOR about any changes in its incorporation document not later than ten days from the changes are made.		გარდა ზემოაღნიშნული საკითხისა, მეიჯარე უფლებამოსილია მიიღოს ყველანაირი ინფორმაცია მოიჯარის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ცვლილებასთან დაკავშირებით მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს ათ დღეში.
10.2. **LESSOR's Representations.** LESSOR approves and guarantees that:		10.2. მეიჯარის წარმომადგენლობა. მეიჯარე ადასტურებს და იძლევა გარანტიას, რომ:
10.2.1. As of the Agreement Date the undersigned person is fully authorized to sign this Agreement;		10.2.1. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის ქვემოთ ხელისმომწერი პირი სრულად და შეუზღუდავად არის უფლებამოსილი მოაწეროს ხელი აღნიშნულ ხელშეკრულებას.
10.2.2. The subject of the Agreement is and will be, throughout the Term, free from third party's rights, except for such rights which may be imposed by the enactment of new laws.		10.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი არის და ვადის განმავლობაში მთლიანად იქნება თავისუფალი მესამე მხარის უფლებებისაგან. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც უფლების მინიჭება ხდება კანონმდებლობის შეცვლით.
10.2.3. LESSOR shall not enter in any agreement concerning any of the activities which are the subject matter of this Agreement with anybody else and shall not carry out any such activities itself, as long as this Agreement is in force.		10.2.3. მოცემული ხელშეკრულების საგანზე თბილისის მთავრობა არ გააფორმებს არანაირ ხელშეკრულებას სხვა პირთან და არც თავად განახორციელებს ნებისმიერ მოქმედებას მანამდე, სანამ წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში იქნება.
10.2.4. LESSOR shall support the LESSEE as shall be required in order to enable Lessee to install all the needed equipment/ technologies, road signs, information panels and to provide all other required Services.		10.2.4. მეიჯარე საჭიროების მიხედვით ხელს შეუწყობს მოიჯარეს, რათა მან დაამონტაჟოს ყველა საჭირო დანადგარი/ტექნოლოგია, საგზაო ნიშნები, საინფორმაციო დაფები, საგზაო მონიშვნები და გასწიოს ყველა სხვა სახის საჭირო მომსახურება.
10.2.5. LESSOR approves changes in the list of minimum parking places attached		10.2.5. მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე მეიჯარე ამტკიცებს

hereto as **Exhibit 10.2.5** as shall be agreed upon by LESSOR and LESSEE, if they are well motivated and are acceptable for LESSOR, in compliance with the Georgian Law in force.		ცვლილებებს პარკირების მინიმალური ადგილების სიაში, რომელიც მოცემულია **დანართში 10.2.5** თუკი ეს უკანასკნელი მყარად მოტივირებულია, მისაღებია მეივჯარისათვის და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
11. THE PAYMENT TERMS AND RESPECTIVE TIME LIMITS		11. გადახდის ვადები და დროის შესაბამისი ლიმიტები
11.1. **Amounts to be collected by the Lessee.**		11.1. მოიჯარის მიერ მისაღები თანხები.
11.1.1. Fees and Penalty Payments. Lessee shall be entitled to collect the fees and Penalty Payments as set forth in **Exhibit 11.1.1.**		11.1.1. საფასური და ჯარიმა. მოიჯარე უფლებამოსილია აკრიფოს **11.1.1 დანართში** მითითებული საფასური და ჯარიმები
11.1.2. Revenues in connection with additional services arising out of the Exclusive Right of Parking Management in Tbilisi granted under the Competition Program. In the event that, after signing of this Agreement, LESSEE shall provide additional services (not mentioned in this Agreement), and if the parties decide that such Additional Services arise out of the Exclusive Right of Parking Management in Tbilisi granted to LESSEE (the **"Additional Services"**), *then,* LESSOR shall be entitled to receive that portion of the revenues received from such serives as provided in article 11.3, net of any Value Added Tax according to relevant legislation, unless otherwise provided by applicable law. If the Parties do not reach an agreement on LESSOR's portion of the revenues from the Additional Services, LESSOR may instruct LESSEE not to provide such Additional Services.		11.1.2. პარკირების სფეროს ექსკლუზიური მართვის შესახებ საკონკურსო პირობებთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებებიდან მიღებული შემოსავლები. იმ შემთხვევაში თუ, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მოიჯარე განახორციელებს დამატებით მომსახურებას (რომელიც არ არის აღნიშნული წინამდებარე ხელშეკრულებაში) და თუ მხარები შეთანხმდებიან, რომ აღნიშნული დამატებითი მომსახურება გამომდინარეობს პარკირების სფეროს ექსკლუზიური მართვის იმ უფლებიდან, რომელიც მოიჯარეს გადაეცა მეივჯარის მიერ. ("დამატებითი მომსახურება"), მეივჯარეს უფლება აქვს მიიღოს შემოსავლების ნაწილი მოიჯარის მიერ ამგვარი მომსახურებით მიღებული შემოსავლიდან 11.3 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული თანხა გადაიხდება მას შემდეგ რაც გამოაკლდება კანონმდებლობით დადგენილი დამატებული ღირებულების გადასახადი. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან მეივჯარის მიერ

		დამატებითი შემოსავლიდან მისაღები თანხების ოდენობაზე, მეიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს მოიჯარეს არ განახორციელოს ამგვარი დამატებითი მომსახურება.
11.1.3. For the avoidance of doubt, the following services shall not be considered an "**Additional Service**" and shall not entitle LESSOR to any revenues. Services set forth under this Agreement, including without limitation:		11.1.3 გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგი მომსახურება არ ითვლება "**დამატებით მომსახურებად**" და არ აძლევს მეიჯარეს შემოსავლის მიღების უფლებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი და არამარტო ქვემოთჩამოთვლილი მომსახურებიდან:
1. Blocking the vehicle tires and/or transferring vehicle to the special parking place;		1. ავტოსატრანსპორტო საშუალების თვლების ბლოკირება, და/ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა;
2. Grant of privileges of vehicle drivers and/or vehicle owners and/or provision of tags/equipment needed to use vehicle parking service;		2. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელების ან მძღოლებისთვის პარკირებისას შეღავათებით, ან განსაკუთრებული პირობებით სარგებლობის, ან ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებასთან დაკავშირებული საბუთის/აღჭურვილობის გაცემა.
11.2. **Designated Accounts**.		11.2 განსაზღვრული ანგარიშები
11.2.1. Parking Fees shall be deposited in an account indicated by the LESSEE and designated for this purpose and for this purpose alone (the **"Designated LESSEE Account"**).		11.2.1. პარკირების საფასური უნდა განთავსდეს მოიჯარის მიერ განსაზღვრულ ერთ ანგარიშზე, რომელიც მხოლოდ საფასურის განსათავსებლად იქნება გამოყენებული (**"მოიჯარის განსაზღვრული ანგარიში"**).
11.2.2. Penalty Payments shall be deposited in accordance with the legislation on an account as instructed in writing by the LESSOR. (the **"LESSOR Account"**).		11.2.2. ჯარიმა განთავსდება კანონმდებლობის შესაბამისად მეიჯარის მიერ წერილობით მითითებულ ანგარიშზე. (**"მეიჯარის ანგარიში"**).
11.2.3. All other amounts payable according to section 11.1.1 (except for Penalty Payments and Parking Fees) shall be		11.2.3. ყველა სხვა თანხა, რომელიც განისაზღვრა 11.1.1. მუხლით (გარდა ჯარიმისა და პარკირების საფასურისა)

deposited in Lessee's bank account.		განთავსდება მოიჯარის საბანკო ანგარიშზე.
11.2.4. Any amounts payable to LESSEE in connection with Additional Services shall be deposited in another separate bank account to be opened for this purpose.		11.2.4. ნებისმიერი თანხა, რომელსაც მოიჯარე მიიღებს დამატებითი მომსახურებების განხორციელებისათვის განთავსდება ცალკე საბანკო ანგარიშზე, რომელიც გაიხსნება მხოლოდ აღნიშნული თანხებისათვის.
11.3. **Allocation of the Joint Revenues between the Parties.** LESSOR shall be entitled to 60% of the Joint Revenues and revenues received for Additional Services and LESSEE shall be entitled to 40% of the Joint Revenues and revenues received for Additional Services. LESSOR shall not be entitled to any other revenues received by LESSEE in connection with the Services.		11.3. მხარეების საერთო შემოსავლების განაწილების წესი. მეიჯარე უფლებამოსილია მიიღოს საერთო შემოსავლების 60% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი. მოიჯარე უფლებამოსილია მიიღოს საერთო შემოსავლების 40% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი. მეიჯარე არ არის უფლებამოსილი მიიღოს სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.
Notwithstanding anything to the contrary in this Agreement, LESSOR shall be entitled to a minimum annual amount equal as set forth in **Exhibit 11.3** (the **"Minimum Revenues"**).		მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებებისა, მეიჯარე უფლებამოსილია მიიღოს მინიმალური წლიური შემოსავალი, რომელიც მითითებულია დანართში 11.3. ("მინიმალური შემოსავლები")
11.4. **Payment Terms and Conditions**		11.4. გადახდის პირობები და ვადები
11.4.1. Reports. By the 12th day of each calendar month, each party shall provide the other party with a comprehensive report setting forth the aggregate amount of revenues deposited in the Designated LESSEE Account and in the LESSOR Account respectively during the previous calendar month.		11.4.1. ანგარიშები/რაპორტები. ყოველი კალენდარული თვის მე-12 დღისათვის, ყოველი მხარე ვალდებულია მეორეს წარუდგინოს სრული ანგარიში, სადაც მითითებული იქნება წინა თვეში, მოიჯარის და მეორე მხარის შემთხვევაში-მეიჯარის, განსაზღვრულ ანგარიშზე განთავსებული მთლიანი შემოსავლების ოდენობა.
11.4.2. By the 20th day of each calendar month, the Party who is indebted to the other Party in accordance with the revenue allocation set forth in section 11.3 above shall transfer the balance to the other Party's account according to details to be provided by each party to		11.4.2. ყოველი კალენდარული თვის 20 რიცხვისათვის, მხარე, რომელსაც, 11.3. მუხლის შესაბამისად, ეკისრება მეორესათვის თანხის გადარიცხვის ვალდებულება, ნაშთს გადარიცხავს მეორე მხარის ანგარიშზე იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც მას

the other party, in writing.		მიაწოდა მეორე მხარემ.
11.4.3. Payment Day which is not a Business Day. If any of the dates set forth in this section 11.4 is not a Business Day than such date shall be considered the immediately following Business Day.		11.4.3. გადახდის დღე, რომელიც არ ემთხვევა სამუშაო დღეს. თუ 11.4 მუხლში აღნიშნული გადახდის დღე არ ემთხვევა სამუშაო დღეს, გადახდა იწარმოებს შემდეგ პირველივე სამუშაო დღეს.
11.5. **Bank Service Fees.** Each Party shall be responsible for the payment of all bank service fees payable with respect to its own account.		11.5. საბანკო მომსახურების საფასური. ყოველი მხარე ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს მის ანგარიშთან დაკავშირებული მომსახურების საფასური.
11.6. **End of Year Settling of Accounts.** No later than 30 days after the end of each calendar year, Lessee shall provide LESSOR a report setting forth the aggregate amount payable to LESSOR on accounts of the previous calendar year.		11.6 წლის დასასრული, ანგარიშსწორება. კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს მიაწოდოს ანგარიში, სადაც მითითებული იქნება მეიჯარის გასულ წელს მოქმედ ანგარიშებზე გადახდილი მთლიანი თანხის ოდენობა.
In the event that the amount set forth in such report is lower than the Minimum Revenues amount applicable for such year, Lessee shall transfer the balance to LESSOR's bank account according to details to be provided by LESSOR to LESSEE, in writing, no later than three month after the end of the relevant calendar year.		თუ ანგარიშში მითითებული თანხა მოცემული წლისათვის დადგენილ მინიმალურ შემოსავალზე ნაკლები იქნება, მოიჯარე ვალდებულია მეიჯარის საბანკო ანგარიშზე გადარიცხოს სხვაობა იმ დეტალების მიხედვით, რომელიც მეიჯარემ მოიჯარეს წერილობით უნდა აცნობოს შესაბამისი კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს სამი თვეში.
11.7. **Changes to the Terms of Payment.** The respective payments and payment conditions set out by this Agreement may become the subject to changes enforced by the mutual acceptance.		11.7. გადახდის პირობების შეცვლა. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდა და გადახდის პირობები შეიძლება შეიცვალოს ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში.
11.8. LESSOR has the right to review through the internet LESSEE's Designated Bank account, but not to make any actions with respect thereto, *provided that*, such option is technically possible.		11.8. ტექნიკურად შესაძლებლობის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია დააკვირდეს მოიჯარის განსაზღვრულ საბანკო ანგარიშს, თუმცა არ შეუძლია განახორციელოს რაიმე მასთან დაკავშირებული ოპერაცია.
11.9. **Payment Recognition.** The authorized		11.9. გადახდის ცნობა. ერთმა მხარემ

payment order (SWIFT) of each payment made by one Party (the "**Payor**") to the other (the "**Payee**") has to be delivered by the Payor to the Payee. The payment is recognized after the actual receipt of the respective amount on the Payee's bank account.		("გადამხდელი") მეორესათვის ("მიმღები") ყოველი გადახდისას უნდა წარადგინოს საგადასახადო დავალება (SWIFT). გადახდა შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი თანხის მიმღების საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვისას.
12. **LIQUIDATED DAMAGES**		12. <u>სახდელები ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის</u>
12.1. **For Late Payments.** If the Payor fails or delays to pay an amount due according to this Agreement, the Payor shall be charged a penalty of 0,1% per day per unreceived amount on the respective amounts unless the Payor presents the well motivated substations that overdue (obligation breach) are not on their account (force-majeure).		12.1 <u>დაგვიანებული გადახდისათვის</u>. გადამხდელი, მის მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულია მიმღებს გადაუხადოს მიუღებელი თანხის 0,1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გადამხდელი დაუსაბუთებს, რომ ვადის გადაცილება (ვალდებულების შეუსრულებლობა) მისი ბრალით არ მოხდა (ფროს-მაჟორი).
The payment of the Late Payment Charge by Agreement does not free the Payor from the respective payments set out by the Agreement.		პირგასამტეხლოს გადახდა გადამხდელს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების გადახდის ვალდებულებისაგან.
12.2. **For Breach of LESSOR's undertakings.** In the event that this Agreement is terminated by LESSOR, other than in accordance with Section **13.3 below**, and in the event that LESSEE terminated this Agreement in accordance with Section 13.2 below, *then*,		12.2. <u>მეიჯარის მიერ ვალდებულებების დარღვევა.</u> იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება მეიჯარის მიერ შეწყდება, გარდა 13.3 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე შეწყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას 13.2 მუხლის შესაბამისად, მაშინ:
a) If such termination takes place before the 4th anniversary of the Commencement Date, *then* LESSOR shall pay to Lessee an amount equal to LARI 500,000 multiplied by the number of months from the date of termination and until the end of the Term; and		ა. თუ შეწყვეტა განხორციელდება დაწყების თარიღიდან 4 წლის გასვლამდე, მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს თანხა, რომელიც უდრის 500,000 ლარი გამრავლებული სახელშეკრულებო ვადის შეწყვეტიდან დასრულებამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე; და

	(b) If such termination takes place after t[he] 4th anniversary of the Commencement Date, then LESSOR shall pay to Lessee termination fees in an amount equal to (X) Lessee's average monthly revenues from the operation of the Services during the immediately preceding 12 month period, divided by (Y) 2 (two), and multiplied by (Z) the number of months from the date of termination and until the end of the Term.		ბ. თუ ხელშეკრულების ხსენებული შეწყვეტა განხორციელდება ხელშეკრულების დაწყებიდან 4 წლის შემდეგ, მეიჯარე ვალდებულია მოიჯარეს აუნაზღაუროს შეწყვეტის ხარჯები, რომელიც უდრის გასული 12 თვის განმავლობაში მოიჯარის მომსახურებიდან მიღებული საშუალო თვიურ შემოსავალს (X), გაყოფილს (Y) 2 (ორზე) და გამრავლებულს ხელშეკრულების შეწყვეტიდან მისი ვადის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე (Z).
	Alternatively, LESSEE can ask to be compensated according to the actual damages accrued by it in connection with such termination.		ან, ალტერნატივის სახით, მოიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს აღნიშნული შეწყვეტით გამოწვეული ფაქტობრივ ზიანთან დაკავშირებული ანაზღაურება.
12.3.	**Charging Amounts against Payments Made.** If the obligatory penalty payments are charged, and the contract contains obligation for their payment, the transfers to the Payee has to be conducted in the following descending order of importance:		12.3. გადახდებზე დაკისრებული გადასახდელი. თუ არ მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, რომლისთვისაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია პირგასამტეხლო, ეს უკანასკნელი ერიცხება მიმღების სასარგებლოდ გადახდილ თანხას და მათი გადახდა შემდეგი თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს:
	a. Late Payment Charge – By Agreement;		ა. პირგასამტეხლო;
	b. Respective amount payments set out by the Agreement.		ბ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა
	Late Payment Charge should be paid before the date on which the next payment is due according to Section 11.4.2.		პირგასამტეხლოს გადახდა უნდა მოხდეს თანხის 11.4.2 მუხლით გათვალისწინებული გადახდის დღის დადგომამდე.

.ე,ვ

13. TERMINATION OF THE AGREEMENT		13. ხელშეკრულების შეწყვეტა
13.1. **Termination upon Expiration**. If the Parties do not agree in writing on the continuation of the Agreement either with presented and/or different terms and conditions, this Agreement shall expire at the end of the Term.		13.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადის გასვლის გამო. თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდებიან ხელშეკრულების ვადის არსებული ან/და განსხვავებული პირობებით გაგრძელების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედება ვადა დასრულდება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.
13.2. **Termination of the Agreement because of the failure by LESSOR to execute its obligations.** The LESSEE shall have the right to terminate the Agreement without payment by LESSEE of any fees, if LESSOR materially breaches the Agreement and fails to cure such breach within 60 (sixty) calendar days after having received detailed written notice of such material breach and *provided that* LESSOR has fully complied with and exhausted the dispute resolution mechanism set forth in section 19 below).		13.2. ხელშეკრულების შეწყვეტა მეიჯარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით. მოიჯარე უფლებამოსილია, ნებისმიერი საფასურის გადახდის გარეშე, შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მეიჯარე არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებას და არ გამოაწორებს აღნიშნულ დარღვევას დეტალური წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 (სამოც) კალენდარულ დღეში იმ პირობით, რომ მეიჯარე სრულად დაემორჩილა და ამოწურა მე-19 მუხლში მითითებული დავების მოგვარების საშუალებები.
Such termination shall be carried out by written notice to be provided by LESSOR to Lessee, specifying the default of Lessee upon which it relies.		შეწყვეტა განხორციელდება მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის მიცემული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, სადაც აღნიშნული იქნება მიზეზი, რომელსაც დაეყრდნო ამ მოქმედების განხორციელებისას.
In case the Agreement is subject to breach caused by non or poor fulfillment of LESSOR's obligations taken hereunder, LESSEE shall have the right to demand compensation from the LESSOR for damages in compliance with the applicable legislation.		მეიჯარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მოიჯარეს უფლება აქვს მეიჯარისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. **Termination of the Agreement because of the failure by LESSEE to execute its obligations**		13.3. ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო
13.3.1 In the event of a breach by LESSEE of any of its obligations according to the Agreement, LESSOR shall give LESSEE written notice indicating the nature of the breach, allowing LESSEE a 60-day cure period and, if applicable, indicating the amount of the Late Charge Payment due to LESSOR according to the Agreement.		13.3.1. მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარე წერილობით გააფრთხილებს მოიჯარეს და აღნიშნავს დარღვევის ბუნებას და მისცემს მოიჯარეს დარღვევის გამოსწორების 60 დღიანი ვადას. საჭიროების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ოდენობის პირგასამტეხლო.
13.3.2 Repetitive breach by LESSEE of any of its obligations according to the Agreement, and/or non-payment of any undisputed Late Charge Payment when due, will serve as a reason for unilateral termination of the Agreement by LESSOR, and LESSEE shall not be entitled to receive back money and will not be compensated for other expenses.		13.3.2. ჯარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობა, და/ან არასადაო პირგასამტეხლოს დროული გადაუხდელობა, განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლის საფუძვლად. მოიჯარეს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ აუნაზღაურება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.
13.3.3. Repetitive breach of the Agreement means a breach which has previouly been indicated to LESSEE by LESSOR and was not cured by LESSEE wuithin the cure period set forthin Section 13.3.1 above.		13.3.3. ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამეორებითი გამოვლენის შემთხვევა არის შემთხვევა, როდესაც 13.3.1. მუხლში მითითებულ გამოსწორების დადგენილ ვადაში არ შესრულდა ის ვალდებულება, რომელზეც მეიჯარემ ერთხელ უკვე მიუთითა მოიჯარეს.
In case the Agreement is subject to breach caused by no or poor fulfilment of LESSEE's obligations taken hereunder, LESSOR shall have the right to demand compensation from the LESSEE for damages in compliance with the applicable legislation.		იმ შემთხვევაში თუ სახეზეა ხელშეკრულების დარღვევა მოიჯარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო, მეიჯარე უფლებამოსილია, შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით მოითხოვოს კომპენსაციის მიღება მიყენებული ზიანის გამო.
13.4. **Groundless Termination.** Neither Party has the right to terminate this Agreement without sufficient grounds.		13.4. უსაფუძვლოდ შეწყვეტა. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება უსაფუძვლოდ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
13.5. **Termination For Force Majeure Event.** In the event of a Force Majeure, the provisions of section 18 below shall apply.		13.5. შეწყვეტა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. ფორს-მაჟორის შემთხვევაში მოქმედებს 18 მუხლის დებულებები.

13.6. **Effect of Terminations**.		13.6. შეწყვეტის შედეგები:
13.6.1. Liabilities accrued or Damages occurred prior to termination. Termination of this Agreement shall not affect rights and/or obligations arising before such termination..		13.6.1. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებულ უფლებებსა თუ მოვალეობებზე. ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი უფლებებისა თუ ვალდებულებების შესრულებაზე.
13.6.2. Purchase of Equipment. Upon termination or expiration of this Agreement and subject to payment of all sums due to LESSEE as a result of such termination or expiration pursuant hereof the following shall occur:		13.6.2. მოწყობილობის შეძენა. ხელშეკრულების შეწყვეტის ან მისი ვადის გასვლის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარის მიმართ არ არსებობს არანაირი დავალიანება:
LESSOR shall have an option (i) assume the lease for all Equipment leased by LESSEE and used by LESSEE primarily to provide the Services; (ii) accept from LESSEE, free from charge, all Equipment owned by LESSEE and used by LESSEE primarily to provide the Services, except for vehicles of any kind and software of any kind.		მეიჯარე აქვს ოპცია: ა) იქირაოს მოიჯარის მიერ ნაქირავები და უპირატესად მომსახურებისათვის გამოყენებული მოწყობილობა; ბ) მოიჯარისაგან უფასოდ მიიღოს ამ უკანასკნელის საკუთრებაში უპირატესად მომსახურებისათვის გამოყენებული მოწყობილობა, გამონაკლისია ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებები და ცალკეული პროგრამული უზრუნველყოფა.
14. **GUARNATEE**		14 გარანტია
14.1. LESSEE shall provide LESSOR with bank guarantees issued by a local or international bank as shall be agreed upon by LESSOR and LESSEE (the "**Guarantees**"), with following amounts and conditions:		14.1. მოიჯარე, შეთანხმების საფუძველზე მეიჯარეს უზუნველყოფს ადგილობრივი ან საერთაშორისო ბანკების გარანტიებით ("გარანტიები"), შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
14.1.1. For first year of operation – not less than GEL 1,200,000. Amagon Ltd. and Shohar Parking Services Ltd. have had their repsecctive banks issue a Guarantee for an amount of not less than GEL 600,000 each and these Guarantees have been delivered by LESSEE to LESSOR prior to the execution of this Agreement, to		14.1.1 მოქმედების პირველ წელს - არანაკლებ 1.200.000 ლარი. შპს „ამაგონმა" და შპს „შოჰარ პარკინგ სერვისიზმა" წარმოადგინეს გარანტიები თითოეულმა არანაკლებ 600.000 ლარზე და აღნიშნული გარანტიები უკვე გაცემულია მოიჯარის მიერ მეიჯარის მოთხოვნების სრული შესაბამისობის

LESSOR's full satisfaction. Should LESSOR be entitled to draw any amount from such Guarantee, then LESSOR should draw 50% from the amount to which LESSOR is entitled from the Guarnatee issued by Amagon and 50% from the Guarantee issued by Shohar.		დაცვით. იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე გამოიყენებს თანხას აღნიშნული გარანტიიდან, თანხის 50% უნდა იქნეს გამოყენებული "ამაგონის" მიერ წარმოდგენილი თანხიდან, ხოლო მეორე 50% კი "შოჰარის" მიერ წარმოდგენილი თანხიდან.
In the event that LESSEE shall draw any amount out of the first-year-of-operation Guarantee, *then,* upon the first withdrawal *u*nder the Guarantee LESSEE shall increase the amount covered by the remaining guarantee by an amount equal to 50% of the amount so withdrawn. It Is clarified that such increase will be carried out once, throughout the Term of this Agreement.		იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე გამოიყენებს პირველი წლის მოქმედებისათვის განსაზღვრულ გარანტს, მაშინ, პირველი გამოყენების შემდეგ, მეიჯარე გაზრდის ამ უკანასკნელის მიერ დაფარული თანხის ოდენობას გამოტანილი თანხის 50%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ გარანტიის რაოდენობის ამგვარ შევსებას ადგილი ექნება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ერთხელ.
14.1.2. For the second year of operation – GEL 1,861,500.		14.1.2. მოქმედების მეორე წელს – 1.861.500 ლარი;
14.1.3. For each following year until expiration of this Agreement – an amount equal to the aggregate amount of LESSOR Revenues during the previous year.		14.1.3. ხელშეკრულების დასრულებამდე ყოველ შემდგომ წელს – მეიჯარის წინა წლის შემოსავლების მთლიანი ოდენობით.
14.1.4. LESSEE shall provide LESSOR with the Guarantee for each operation year no later than 7 days before the end of the previous operation year, *provided however,* that such Guarantee shall only enter into force upon termination of the previous Guarantee.		14.1.4. მოიჯარე უზრუნველყოფს მეიჯარეს გარანტიით ყოველი საოპერაციო წლის დამთავრებამდე არაუგვიანეს 7 დღით ადრე, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული გარანტია ამოქმედდება წინა წლის გარანტიის გაუქმებისას.
14.2. In the event that the LESSOR shall consider itself entitled to any payment under the Guarantee and *provided that* LESSOR has fully complied with and exhausted the dispute resolution mechanism set forth in section 19 below), it shall inform LESSEE of same in writing, specifying the default of LESSEE upon which it relies. Should LESSEE fail to remedy such default within the timeframes set forth		14.2. იმ შემთხვევაში თუ მეიჯარე ჩათვლის, რომ იგი უფლებამოსილია მიიღოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა და იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარემ სრულად ამოწურა დავის მოგვარების მე-19 მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, ამის შესახებ იგი წერილობით შეატყობინებს მოიჯარეს და მიუთითებს იმ მიზეზის შესახებ, რომელსაც დაეფუძნა მოთხოვნა. თუ მეიჯარე მე-

in Section 13.3.1 LESSOR may use the Guarantee to recover Damages suffered *by it directly due to such breach by* LESSEE of this undertakings hereunder subject to the provisions of section 19.3 *below,. Should the* amount of the Guarantee used be in excess of the amounts due to LESSOR, LESSEE shall be entitled to recover the excess from LESSOR.		13.3.1. პუნქტში მითითებულ ვადებში არ გამოასწორებს დარღვევას, მეივჯარეს უფლება აქვს გამოიყენოს გარანტია, რათა აანზღაუროს მოიჯარის მიერ უშუალოდ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი, ეს უკანასკნელი 19.3 პუნქტით გათვალისწინებულ დებულებებს გამოიყენებს. თუ მეივჯარე საგარანტიო თანხას უფრო მეტი რაოდენობით გამოიყენებს ვიდრე ეკუთვნის, მოიჯარეს უფლება აქვს მეივჯარისაგან მოითხოვოს გადამეტებულად გამოყენებული თანხის დაბრუნება.
15. CONFIDENTIALITY		15. კონფიდენციალურობა
15.1. In accordance with Georgian law, the Parties shall not disclose, any of the information related to the content of all documentation, unless:		15.1. თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, მხარეები არ გაამჟღავნებენ დოკუმენტაციის შინაარსთან დაკავშირებულ ინფორმაციას, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:
15.1.1. it is public information;		15.1.1. თუ ინფორმაცია საჯაროა;
15.1.2. it is needed to settle the disputes between parties;		15.1.2. საჭიროა მხარებს შორის დავის მოსაგვარებლად
15.1.3. it is set out by the applicable legislation;		15.1.3. მის გამჟღავნებას მოითხოვს შესაბამისი კანონმდებლობა.
15.1.4. such disclosure is required in order for a party to carry out its undertakings under this Agreement;		15.1.4. მისი გამჟღავნება საჭიროა მხარისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.
16. INFORMATION		16. ინფორმირება
16.1. **Special Reports.** The LESSEE shall provide LESSOR written notice with respect to each of the following events, which notice shall be given within 10 (ten) days after the occurrence of such event:		16.1. სპეციალური ანგარიში. მოიჯარე მეივჯარეს, 10 (ათი) დღის ვადაში წერილობით შეატყობინებს ნებისმიერი ქვემოთჩამოთვლილი შემთხვევის შესახებ:
16.1.1. Any action which may serve as reason for termination of the Agreement.		16.1.1. მიაწვდის ინფორმაციას ნებისმიერი იმ მოქმედების შესახებ, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს

		ხელშეკრულების შეწყვეტას.
16.1.2. Placing under arrest property of the LESSEEt.		16.1.2. მიაწვდის ინფორმაციას მოიჯარის ქონების დაყადაღების შესახებ.
16.1.3. Any lawsuit filed by a third party against LESSEE either in connection with the provision of the Services or which is likely to have a detrimental effect on LESSEE.		16.1.3. მესამე მხარის მიერ მოიჯარის წინააღმდეგ აღძრული დავა, რომელიც უკავშირდება მომსახურების გაწევას ან რომელიც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზიანების მომტანი იქნება მოიჯარისათვის.
16.1.4. Any other information reasonably required by LESSOR and which can be produced by LESSEE's technological systems and personnel without additional substantial cost.		16.1.4. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია მოთხოვნილი მეიჯარის მიერ გონივრულობის ფარგლებში და რომლის გაცემა შესაძლებელია მოიჯარის ტექნოლოგიური სისტემებისაგან და რომელიც არ საჭიროებს პერსონალის მნიშვნელოვანი დანახარჯებს.
16.1.5. Once every 6 months and/or as requested, provide LESSOR with information indicating LESSEE's compliance with its obligations according to this Agreement.		16.1.5. 6 თვეში ერთხელ და/ან მოთხოვნისთანავე მეიჯარეს წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
16.2. The LESSEE is obliged to keep all the records, information and/or documents corresponding to this clause set out by the Agreement, during all the time period the Agreement is valid and during 5 (five) years after validity expires.		16.2. მოიჯარე ვალდებულია შეინახოს ყველა ჩანაწერი, ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება ხელშეკრულების ამ დებულებას, ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში და ხელშეკრულების ვადის გასვლიდან მომდევნო 5 (ხუთი) წლის მანძილზე
17. **NOTIFICATION**		17. <u>შეტყობინება</u>
17.1. The notice, approval and/or suggestion related to this Agreement shall be considered to be conducted only if it is executed in writing.		17.1. შეტყობინება, თხოვნა ან/და თანხმობა, რომელიც უკავშირდება წინამდებარე ხელშეკრულებას, უნდა გაკეთდეს წერილობით.
17.2. The notice, approval and/or suggestion sent by the Parties to each other shall become effective after it is handed over to an authorized representative of the		17.2. ნებისმიერი ასეთი შეტყობინება თხოვნა ან თანხმობა ჩაითვლება გაცემულად ან გაკეთებულად, მეორე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენილსათვის

	Party		ჩაბარების შედეგად.
17.3.	**Notice deemed delivered.** A notice shall be deemed accepted by a Party if delivered to the addresses of such Party set out below, and *provided that* (i) any notice sent by courier shall be deemed accepted upon delivery thereof; (ii) any notice sent by registered mail shall be deemed accepted on the 7th Business Day after delivery thereof by international mail, postage prepaid; (iii) any notice sent by facsimile or email shall be deemed accepted on the Business Day following delivery thereof and provided that acceptance thereof has been confirmed by telephone.	17.3.	ჩაბარებული შეტყობინება. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება თუ მას მიიტანენ მხარის ქვემორე მითითებულ მისამართზე, იმ პირობით, რომ ა). კურიერის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისამართზე მიტანისას; ბ). რეგისტრირებული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მიტანიდან მე-7 სამუშაო დღეს. იგივე ვრცელდება საერთაშორისო, წინასწარ ანაზღაურებულ ფოსტაზეც; გ). ფაქსიმილითა თუ ელ-ფოსტით გაგაგზნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მიღების შემდეგ სამუშაო დღეს, იმის გათვალისწინებით, რომ მიღება დადასტურდება ტელეფონით.
17.4.	**Parties Addresses**:	17.4.	მხარეთა მისამართები
	LESSEE: C T Park Ltd Fax: E-mail: Attn: Director		მოიჯარე: სი-ტი პარკ შპს ფაქსი: ელ-ფოსტა: ვის: დირექტორი
	LESSOR: Tbilisi City Government Fax: +995 32 99 85 44 E-mail: info@tbilisi.gov.ge Attn: Vice-Mayor of Tbilisi City		მეიჯარე: ქ. თბილისის მთავრობა ფაქსი: 995 32 99 85 44 ელ-ფოსტა: info@tbilisi.gov.ge ვის: : ქ. თბილისის ვიცე-მერს
17.5.	**Change of Address.** Parties have the rights to change the addresses given by the Agreement. Parties have to inform each other about respective changes in no more then 10 business days after changes are made. Before the notifications are done to each other the sent information would be considered as delivered on the correct address.	17.5.	მისამართის შეცვლა: მხარეებს უფლება აქვთ შეიცვალონ ზემოხსენებული მისამართი. მისამართის ცვლილების შესახებ მხარეები ერთმანეთს აცნობებენ არაუგვიანეს მისამართის შეცვლის მეათე სამუშაო დღეს. ცვლილების მეორე მხარისათვის ცნობებამდე მხარას მიერ წინა მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი წერილი ან სხვა დოკუმენტი ჩაითვლება

		სწორ მისამართზე გაგზავნილად
18. FORCE MAJEURE		18. ფორს-მაჟორი
18.1. Each Party shall be excused for non-execution or improper execution of the obligations undertaken in this Agreement, if such non or improper fulfillment is caused by Force Majeure. "**Force Majeure**" means events that did not exist by the time of this Agreement's execution and the existence and effect of which could not be avoided or removed by the Parties, including, without limitation, flood, earthquake, war and military actions (which shall be considered as a Force Majeure event on behalf of the Party in which country such war or military actions occurred). It is clearly agreed that the adoption of legislative acts and by-laws worsening the legal status and the respective regime of the Parties by LESSOR shall not be raised as a Force Majeure claim by LESSOR, but can be raised as a Force Majeure claim by the Lessee. A decision as to whether a Force Majeure event has occurred in Georgia shall be made by the Georgian Chamber of Industry and Commerce and the Parties shall abide by such decision.		18.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან და სათანადო პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობებით. "ფორს-მაჟორი" გულისხმობს იმ ვითარებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების დროს და რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო მხარეების მიერ, მათ შორის და არამარტო, წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი სამხედრო მოქმედებები (აღნიშნული ფორს-მაჟორად ჩაითვლება იმ მხარისათვის, სადაც ადგილი აქვს ფორს-მაჟორს, ომს ან სამხედრო მომოქმედებებს). მეიჯარის მიერ იმ საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე აქტების მიღება, რომლებიც აუარესებენ მხარეების სამართლებრივ სტატუსსა და შესაბამის რეჟიმს, არ უნდა ჩაითვალოს ფორს-მაჟორად მეიჯარისათვის, თუმცა შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ფორს-მაჟორის მოთხოვნას მოიჯარის მხრიდან. გადაწყვეტილებას საქართველოში ფორს-მაჟორის არსებობის შესახებ იღებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და მხარეები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებას.
18.2. The Party being influenced by a Force Majeure event shall notify the other Party in writing of the existence of such event immediately, and in all cases no later than th[e] 10th calendar day from occurrence of the Force Majeure event.		18.2. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, ვალდებულია წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოქმნის შესახებ აღნიშნულის დადგომიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა
18.3. In case the Force Majeure event lasts for more than 90 calendar days, the other Party shall have the right to		18.3. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედება გაგრძელდა 90 კალენდარულ დღეზე მეტ ხანს,

	terminate this Agreement for convenience *provided, however,* that the terminating Party shall be entitled to compensation in accordance with section 12 above and under applicable law, as if this was termination due to a breach by the non-terminating Party.		მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება მათთვის ხელსაყრელ დროს, იმის გათვალისწინებით, რომ შემწყვეტი მხარე მიიღებს მე-12 მუხლითა და შესაბამისი კანონით განსაზღვრულ კომპენსაციას, იმგვარად, თითქოს სახეზე იყო ხელშეკრულების შეწყვეტა მეორე მხარის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.
18.4.	Subject to the provisions of section 18.3 above, during a Force Majeure event it is strictly forbidden to abolish the Agreement because of the non or poor execution of the obligations of the Parties.		18.4. 18.3 მუხლის დებულებების შესაბამისად ფორს-მაჟორის დროს არ შეიძლება ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.
19.	**GOVERNING LAW; RESOLUTION OF DISPUTES**		19. მარეგულირებელი კანონმდებლობა; დავების მოგვარება
19.1.	Governing Law. This Agreement shall be governed by and construed in accordance with the laws of Georgia.		19.1. მარეგულირებელი კანონმდებლობა. ეს ხელშეკრულება რეგულირდება და ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას.
19.2.	**Right to compensation.** Any right of a Party to compensation hereunder shall be subject to such Party's giving notice to the other Party of the breach which is the reason for such compensation and a 7 days or other reasonable period to cure such breach.		19.2. კომპენსაციის უფლება დარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან 7 დღიანი ან სხვა გონივრული ვადის ამოწურვის შემდეგ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიიღოს კომპენსაცია იმ დარღვევის გამო რომელიც იქნება კომპენსაციის საფუძველი.
19.3.	**Dispute Resolution – General**. Any dispute or controversy between the Parties with respect to the interpretation or application of any provision of this Agreement or the performance by Lessee or LESSOR of their respective obligations hereunder shall be resolved as provided in this Section.		19.3. დავების მოგვარება-ზოგადი. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა ან უთანხმოება, რომელიც ეხება ხელშეკრულების დებულებების შინაარსა და ინტერპრეტაციას ან მეიჯარისა და მოიჯარის მიერ მათი ვალდებულებების შესრულებას უნდა მოგვარდეს ისე, როგორც ეს მითითებულია ამ ნაწილში.
19.4.	**Informal Dispute Resolution**. Prior to the initiation of formal dispute resolution procedures as to any dispute,		19.4. დავების არაფორმალური მოგვარება. დავის მოგვარების ფორმალურ

the Parties shall attempt to resolve their dispute informally in the following manner:		პროცედურამდე, მხარეები უნდა ეცადონ დავა მოაგვარონ არაფორმალურად ქვემოთ მითითებული გზით:
19.4.1. In the event of any dispute, controversy or claim of any kind or nature arising under or in connection with this Agreement, whether based on contract, tort or other legal theory, (including disputes as to the creation, validity, interpretation, breach or termination thereof (a "**Dispute**")), then upon the written notification of such Dispute by either Party, each of the Parties will appoint a designated senior business executive whose task it will be to meet for the purpose of endeavoring to resolve the Dispute. The designated executives will meet as often as the Parties reasonably deem necessary in order to gather and furnish to the other all information with respect to the matter in issue which the Parties believe to be appropriate and germane in connection with its resolution. Such executives will discuss the Dispute and will negotiate in good faith in an effort to resolve the Dispute without the necessity of any formal proceeding relating thereto. The specific format for such discussions will be left to the discretion of the designated executives but may include the preparation of agreed upon statements of fact or written statements of position furnished to the other Party.		19.4.1. ნებისმიერი დავის, უთანხმოების ან პრეტენზიის შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა წარმოიშვება კონტრაქტსა თუ დელიქტისაგან (მათ შორის დავა მისი მომზადების, ძალაში ყოფნის, ინტერპრეტაციის, დარღვევის თუ შეწყვეტის შესახებ ("დავა")), მხარის მიერ დავის შესახებ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ყოველი მხარე ნიშნავს უფროს აღმსრულებელ პირებს, რომლთა ვალდებულებაც იქნება დავის მოგვარების მიზნით შეხვედრების მოწყობა. მოცემული აღმასრულებელი პირები, იმ სიხშირით შეიკრიბებიან რამდენადაც ეს საჭირო იქნება დავის მოსაგვარებლად, ინფორმაციის მოსაძიებლად და შესაგროვებლად. აღმასრულებელი პირები განიხილავენ დავას და გამართავენ კეთილსინდისიერ დიალოგს იმ მიზნით, რომ მოაგვარონ დავა და საჭირო არ შეიქნას დავის მოგვარების ფორმალური მოქმედებების განხორციელება. ამგვარი განხილვების ფორმატი დამოკიდებული იქნება აღმასრულებელი პირების ნებაზე და შესაძლებელია მოიცავდეს ფაქტების წინასწარ შემუშავებას ან მეორე მხარისადმი წერილობითი განცხადებების მომზადებას.
19.4.2. During the course of negotiations, all reasonable requests made by one Party to the other for non-privileged information, reasonably related to the dispute, shall be honored in order that each of the Parties may be fully advised of the other's position.		19.4.2. მოლაპარაკებების დროს, ერთი მხარის მიერ მეორესადმი წარდგენილ, დავასთან ლოგიკურ კავშირში არსებული ყოველი გონივრული თხოვნა ინფორმაციის მიწოდების შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს რათა მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ ერთმანეთის პოზიციის შესახებ.
19.4.3. Proposals and information exchanged during the informal proceedings described in this Article between the		19.4.3. ამ მუხლში აღწერილ მხარეებს შორის მოქმედი არაფორმალური პროცედურის შესაბამისად გაცვლილი შეთავაზებები

Parties shall be privileged, confidential and without prejudice to a Party's legal position in any formal proceedings.		და ინფორმაცია განიხილება როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ფორმალური საქმეთაწარმოების დროს ზეგავლენას არ მოახდენს მხარის სამართლებრივ პოზიციაზე.
20. MISCELLENOUS		20. სხვადასხვა
20.1. **Languages.** This Agreement is executed in Georgian and English in two copies one for each Party.		20.1. ხელშეკრულების ენა. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.
20.2. **Entire Agreement; Amendments.** All amendments and additions made to this Agreement including any Exhibit thereof shall have legal force only after it is executed in written and signed by both Parties		20.2. ხელშეკრულების ერთიანობა; ცვლილებები. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება იურიდიული ძალის მქონე იქნება მხოლოდ წერილობითი ფორმით განხორციელებისა და ორივე მხარის ხელმოწერის შემდეგ.
20.3. **Severability.** Invalidation of any of the provisions of this Agreement shall not affect the validity of other provisions if the objective of this Agreement still can be achieved regardless the invalidated provision.		20.3. ხელშეკრულების ნაწილის ბათილობა. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა გავლენას არ ახდენს სხვა დებულებების ნამდვილობაზე თუ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნის მიღწევა კვლავ შესაძლებელია ბათილად ცნობილი დებულების მიუხედავად.
20.4. **Exhibits.** The schedules of the Agreement represent an integral part of this Agreement.		20.4. დანართები. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.
20.5. **Signatures.** The Agreement enters into force upon the authorized Parties sign this Agreement		20.5. ხელმოწერები. ხელშეკრულება ძალაში შედის უფლებამოსილი მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

21. **THE ATTACHMENTS OF THE AGREEMENT**			21. ხელშეკრულების დანართები		
Exhibit **4.1**	-	The Services	დანართი 4.1.	-	მომსახურება
Exhibit 7.2.8.	-	Certain Business Plan provisions	დანართი 7.2.8.	-	ბიზნეს გეგმის ამონარიდი
Exhibit 10.2.5	-	Minimum Parking Places	დანართი 10.2.5	-	პარკირების მინიმალური ადგილები
Exhibit 11.1.1.	-	Fees and Penalty Payments	ანართი 11.1.1.	-	საფასურები და ჯარიმები
Exhibit 11.3	-	LESSOR's Minimum Annual Revenues.	ანართი 11.3	-	მეიჯარის მინიმალური წლიური შემოსავალი

EXHIBIT 4.1

დანართი 4.1.

THE SERVICES

მომსახურებები

1.	**CITY BOUNDARIES.**		1. ქალაქის საზღვრები
	The Services shall regulate the parking at all Roads places within the municipal city of Tbilisi, which boundaries are described in the map attached hereto as **Appendix 1** (the **"City of Tbilisi"**). Should it be decided to expand or reduce the boundaries of the city of Tbilisi during the Term of this Agreement, then, the provisions of this Agreement shall apply with respect to such expanded or reduced boundaries. In the event that a reduction of the boundaries of the City of Tbilisi shall trigger section 5 *then*, the provisions of section 5 of the Agreement shall apply.		მომსახურება აწესრიგებს პარკირებას ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ("ქალაქი თბილისი" იხ. დანართი 1) არსებულ გზებზე. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაში გადაწყდება, რომ ქალაქ თბილისის საზღვრები უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს, მაშინ აღნიშნული ხელშეკრულების დებულებებიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი გაზრდილ ან შემცირებულ საზღვრებთან. იმ შემთხვევაში თუ თბილისის საზღვრების შემცირება აამოქმედებს მე-5 მუხლს მაშინ გამოყენებული იქნება ხელშეკრულების მე-5 მუხლის დებულებები.
	It is hereby clarified that section 5 of the Agreement will only be triggered once the administrative boundaries of the City of Tbilisi will become less than it was on December 27, 2006.		მხარეები აქვე განმარტავენ, რომ ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუ თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შემცირდება 2006 წლის 27 დეკემბრამდე არსებულ საზღვრებზე მეტად.
	PARKING AND NON-PARKING ZONES		2. პარკირებისთვის ნებადართული და აკრძალული ადგილები
	The City of Tbilisi shall be divided into places where parking is prohibited (**"No Parking Zones"**), places where parking is allowed subject to payment (**"Paid**		თბილისი იყოფა შემდეგ ზონებად: ადგილი სადაც აკრალულია პარკირება ("პარკირება

Parking Zones"), and places where parking is allowed without any payment.		აკრძალულია"), ადგილები, სადაც პარკირება ნებადართულია სათანადო საფასურის გადახდის შემთხვევაში ("ანღაზღაურებადი პარკირების ზონა") და ადგილები სადაც ნებადართულია უფასო პარკირება.
3. **THE SERVICES**		3. მომსახურებები
3.1. The Services shall comprise of the following items:		3.1 მომსახურებები მოიცავს შემდეგს:
3.1.1. Preparation of Infrastructure. This will include the painting and drawing works, placing signposts, placing Pay and Display machines and parking meters and operation of Cellular Parking system, all in accordance with the provisions of this Exhibit 4.1.		3.1.1. ინფრასტრუქტურის მომზადება. აღნიშნული გულისხმობს 4.1. დანართის დებულებების შესაბამისად საგზაო მონიშვნების, საინფორმაციო დაფების და საგზაო ნიშნების მონტაჟს: პარკირების ეკრანიანი მრიცხველების, ბორდურზე დამონტაჟებული პარკირების დროის საზომი ავტომატების, პარკირების ფიჭური სისტემის დამონტაჟება.
3.1.2. Public Information.		3.1.2 საზოგადოების ინფორმირებას;
3.1.3. Distribution of scratch cards, in-vehicle electronic meters, cellular parking system.		3.1.3 პარკირების გადასაფხეკი ბარათების (სქრეჩ-ბარათების), ავტომატური საზომი მოწყობილობების, პარკირების ფიჭური სისტემის გავრცელება.
3.1.4. Operation of scratch cards, in-vehicle electronic meters, cellular parking system, pay and display machines, parking meters.		3.1.4 პარკირების გადასაფხეკი ბარათების, ავტომატური საზომი მოწყობილობების, პარკირების ფიჭური სისტემის პარკირების ეკრანიანი მრიცხველების, ბორდურზე დამონტაჟებული პარკირების დროის საზომი ავტომატების ოპერირება.
3.1.5. LESSEE shall deploy Parking Inspectors and shall supply such inspectors uniforms or other identifying items. LESSEE shall give preference to Georgian citizens while manning any positions required for the provision of the Services. If LESSEE is unable to located a Georgian citizen with the required qualifications the LESSEE		3.1.5 მოიჯარე განაწესებს პარკირების ინსპექტორებს და უზრუნველყოფს მათ უნიფორმით და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებით. მომსახურების გასაწევად მუშახელის დაქირავებისა დროს მოიჯარე უპირატესობას მიანიჭებს საქართველოს

may hire a worker who is not Georgian.		მოქალაქეებს. თუ მოიჯარე ვერ შეძლებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირების დაქირავებას, მას უფლება აქვს დაიქირაოს პირი რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე
3.1.6. Towing of vehicles parked at No Parking Zones to the Special Protected Parking Lots and, should LESSEE wish to do so, also towing of vehicles parked in violation of parking rules to the Special Protected Parking Lots.		3.1.6 პარკირებისათვის აკრძალულ ზონაში გაჩერებული მანქანების და, თუ მოიჯარე ჩათვლის საჭიროდ, პარკირების წესების დარღვევით გაჩერებული მანქანების გადაყვანა სპეციალურ დაცულ სადგომზე
3.1.7. Issuing of fine notice and placement of a boot on vehicles parked at Paid Parking Zones and in violation of parking rules, and, should LESSEE wish to do so, also placement of a boot on vehicles parked at No Parking Zones.		3.1.7 ჯარიმის ქვითრის გამოწერა პარკირების წესების დარღვევისა და პარკირებისთვის აკრძალულ ზონაში მანქანის პარკირებისთვის: ფასიანი პარკირების ზონაში პარკირების წესების დამრღვევი მანქანების, და თუ მოიჯარე ჩათვლის საჭიროდ, პარკირებისთვის აკრძალულ ზონაში გაჩერებული მანქანების საბურავების ბლოკირება სპეციალური საშუალებით
3.1.8. Operation of payment offices.		3.1.8 გადახდის ოფისების მართვა
3.1.9. Release of vehicles from vehicle boots.		3.1.9 ბლოკირებული საბურავების ახსნა
3.1.10. Operation of special landplots that are used as parking places as shall be designated by LESSOR.		3.10. მეიჯარის მიერ გადაცემული პარკირებისთვის განსაზღვრული სპაციალური მოედნების მართვა.
4. **ADVISORY COMMITTEE.**		4. მრჩეველთა კომიტეტი
4.1. **Formation and Members.** No later than 7 days from the Agreement Date, the Parties shall establish an advisory committee as follows: a duly authorized representative of the LESSOR (the "**LESSOR Representative**"); a duly authorized representative of the LESSE and a duly authorized representative of the police authorities if the later would agree to participate in such advisory committee (the "**Advisory Committee**").		4.1 შექმნა და წევრები. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს 7 დღისა, მხარეები შექმნიან მრჩეველთა კომიტეტს, რომელიც შედგება: მეიჯარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ("მეიჯარის წარმომადგენელი"), მოიჯარის უფლებამოსილი წარმომადგენლის და საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი წარმომადგენლისაგან, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში; ("მრჩეველთა

		კომიტეტი");
4.2. **Chairman.** The LESSOR Representative shall be designated as Chairman of the Advisory Committee.		4.2 თავმჯდომარე. მრჩეველთა კომიტეტის თავმჯდომარე იქნება მეიჯარის წარმომადგენელი.
4.3. **Preparation of Materials.** The representative of LESSEE shall be responsible for the coordination of the Advisory Committee's meetings as well as for the preparation and distribution of minutes and other relevant materials to the Advisory Committee's members.		4.3 შეხვედრების მომზადება. მოიჯარის წარმომადგენელი იქნება პასუხისმგებელი მრჩეველთა კომიტეტის შეხვედრების კოორდინაციაზე, შეხვედრების ოქმების და შესაბამისი მასალების მრჩეველთა კომიტეტისათვის მომზადებასა და მიწოდებაზე
4.4. **Meetings.** The Advisory Committee shall meet at such times and places as shall be decided by the members thereof, but until the end of the Pilot Period (as defined in section 13.3 below) not less than once a week.		4.4 შეხვედრები. მრჩეველთა კომიტეტი შეიკრიბება იმ სიხშირით და იმ ადგილას, როგორც ჩათვლიან საჭიროდ თავად წევრები. საპილოტო პერიოდის დასრულებამდე (როგორც ეს მითითებულია 13.3. პუნქტში), შეხვედრები უნდა ჩატარდეს მინიმუმ კვირაში ერთხელ.
4.5. **Advisory Committee's Duties**. The Advisory Committee shall discuss the following issues		4.5 მრჩეველთა კომიტეტის ვალდებულებები. მრჩეველთა კომიტეტი განიხილავს შემდეგ საკითხებს:
4.5.1. Division of the municipal area of the city of Tbilisi into separate Parking areas/Zones which would entitle the residents of such zone to certain parking privileges within such zone (each a "**Parking Privileges Zone**").		4.5.1 ქალაქ თბილისის ტერიტორიის პარკირების ცალკეულ ზონებად დაყოფა და ამ ზონების მცხოვრებთათვის პარკირების გარკვეული უპირატესობების მინიჭება ("**პარკირების პრივილეგირებული ზონა**").
4.5.2. The approved parking places;		4.5.2 პარკირებისათვის ნებადართული ადგილების საკითხი;
4.5.3. The prohibited parking places; i.e., a place where vehicles may not park.		4.5.3 პარკირებისათვის აკრძალული ადგილების საკითხი;
4.5.4. Residents and other sectors eligible to receive a parking tag allowing such residents or sector to such parking rights as shall be decided; Fees payable for parking tags.		4.5.4 მაცხოვრებლებისა და სხვა პირთა იმ წრეს (მაგალითად გამყიდველები) რომლებიც უფლებამოსილნი არიან მიიღონ პარკირების საბუთი/აღჭურვილობა და მისი საშუალებით აღნიშნულ მაცხოვრებლებს ან სხვა პირთა წრეს

.03 JC

		მიეცეს შემდგომში განსაზღვრული პარკირების უფლება. პარკირების საბუთის/აღჭურვილობის მისაღებად დადგენილია საფასური.
4.5.5. Establishing the forms of Parking Signposts (no standing-stopping towing zone, parking for disabled person's car only, etc.).		4.5.5 პარკირების ნიშნების ფორმას (დგომა-გაჩერება აკრძალულია, გაჩერება ექვემდებარება საჯარიმო სადგომზე გადაყვანას, პარკირება მხოლოდ ინვალიდებისათვის, სხვა).
4.5.6. Establishing the format of pay and display cards.		4.5.6 გადახდისა და დისპლეი ბარათების ფორმის დადგენას.
